წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 12

ქ. წყალტუბო 27 ოქტომბერი, 2023 წელი

2023 წლის 27 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-სერგო კირკიტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი დოლიძე.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი;

წევრები: ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, ნარგიზა ტყაბლაძე, გელა ბურჯალიანი, ნოდარ ასათიანი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ ხურცია, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, სალომე ჯიმშელეიშვილი, ხათუნა მაღლაკელიძე, დევი დოლაბერიძე, ავთანდილ გაბუნია, გალაქტიონ ხარაბაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი -ზაზა ერბელიძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი- ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი- ირინა ჩაკვეტაძე, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა ალექსანდრე ნიქაბაძემ. ის მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა მასწავლებლის ეროვნული დღე.
საკრებულოს წევრებმა ეროვნული პროფესიული დღე მოულოცეს პედაგოგებს.

თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

/მომხს: მაკა ჭელიძე/

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მალხაზ ჩხეიძე/

4.,,ქალაქ წყალტუბოში ავტოსატრანსპორტო საშუალებებით განსახორციელებელი, მგზავრთა რეგულარული გადაყვანის სამარშრუტო სქემის დადგენის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს:მალხაზ ჩხეიძე/

5.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.44.082; ფართით-2784.0კვ.მ.) მრავალფუნქციური, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების- უარის შეთანხმების შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
მომხრე -30
წინააღმდეგი -0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის მიერ წარმოდგენილი საკითხი

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 42 230 769 ლარი, აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრება 42 656 816 ლარი.

1.ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება 426 047 ლარით, კერძოდ:

1.1 დამატებითი ღირებულების გადასახადი-(დღგ)-325 900ლარი) გეგმა წლის დასაწყისში განსაზრვრული იყო 19 304.9 ათასი ლარით, განისაზღვრა 19 630.8 ათ.ლარი. საფუძველი: ფინანსთა სამინისტროს მოწერილობა)

1.2.სხვა შემოსავლები-შემოსავლები საკუთრებიდან-პროცენტები-100 147 ლარი(სხვა შემოსავლების გეგმა განსაზღვრული იყო 3 093.4 ათ.ლარი, განისაზღვრება 3 193. 5ათ ლარი).

ბიუჯეტი ხარჯები გაიზრდება 426 047 ლარი. კერძოდ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-19 500 ლარი.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-13 000 ლარი
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება - სოციალური დახმარება-ფულადი ფორმით-10 000ლარი.
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება - სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით-50 000ლარი.
5. ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები -არაფინანსური აქტივების ზრდა-სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარის შეძენა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული-65 000 ლარი(ნაგავშემკრები კონტეინერები).
6. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები 56 840 ლარი.
7. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება-სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი-102 000 ლარი.
8. ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის პროგრამის მუხლში-არაფინანსური აქტივების ზრდა -სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული-5 000 ლარი ამოსატუმბი მოტო პომპის შეძენა)
9. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია-არაფინანსური აქტივების ზრდა -სხვა შენობა ნაგებობები-104 707 ლარი(სოფელ ცხუნკურში სკვერის მოწყობა)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-30
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-30
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-30
წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

4. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,ქალაქ წყალტუბოში ავტოსატრანსპორტო საშუალებებით განსახორციელებელი, მგზავრთა რეგულარული გადაყვანის სამარშრუტო სქემის დადგენის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,ქალაქ წყალტუბოში ავტოსატრანსპორტო საშუალებებით განსახორციელებელი, მგზავრთა რეგულარული გადაყვანის სამარშრუტო სქემის დადგენის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის №82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

5. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.44.082; ფართით-2784.0კვ.მ.) მრავალფუნქციური, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების- უარის შეთანხმების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : ზაზა ერბელიძემ აღნიშნა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა , მოქალაქე თამაზი კიკვაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, თავის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გდგ (განაშენიანების დეტალური გეგმა) კონცეფციის შეთანხმებას.

,, ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის #261დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად თუ სამშენებლო ტერიტორიაზე არ მოქმედებს განაშენიანების დეტალური გეგმა, მაშინ მიწის ნაკვეთის განაშენიანების პირობები დგინდება , ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"- ს 67-ე მუხლით.

იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც განაშენიანების ჩამოყალიბებულ სისტემაში მდებარეობს და რომელზეც არ ვრცელდება განაშენიანების დეტალური გეგმა, მშენებლობის ნებართვა შეიძლება გაიცეს მოქმედი ქალაქთმშენებლობითი გეგმის არსებობის შემთხვევაში) და ძირითადი დებულებების მოთხოვნათა საფუძველზე, თუ ის გამოყენების სახეობის , განაშენიანების პარამეტრების, განაშენიანების სახეობის და მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსების თვალსაზრისთ შეესაბამება განაშენიანების არსებულ გარემოს და არ ეწინააღმდეგება სამეზობლო ინტერესებს.

რადგან აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სოფელ ბანოჯის მოსახლეობის ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებულ ტერიტორიაზე და ასევე შესულია ქალაქ ქუთაისის განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფციაში და მინიჭებული აქვს სასოფლო სამოსახლო ზონა, სამშენებლო ქვეზონა, სააგარაკე-საცხოვრებელი ზონა (სზ-1).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, ამ ეტაპისთვის, არ მიაჩნია მიზანშეწონილად აღნიშნული ტერიტორიის განვითარება მოთხოვნილი მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებლობისათვის.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.44.082; ფართით-2784.0კვ.მ.) მრავალფუნქციური, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების- უარის შეთანხმების შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე